ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზია

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. სააგენტოს მიერ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, ლიცენზიის მაძიებელს კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის უფლება ენიჭება.

ლიცენზიის მაძიებელმა ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უნდა წარუდგინოს:

- ✓ წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ✓ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ საქმიანობის ლიცენზიის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი და თანდართული საბუთების ნუსხას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ლიცენზიის მაძიებელმა, ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გარდა, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- ✓ ლიცენზიის მაძიებლის სადამფუძნებლო დოკუმენტები, მათ შორის, წესდება, ამ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ✓ ლიცენზიის მაძიებლის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების/პარტნიორების საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და ინფორმაცია;

- ✓ ლიცენზიის მაძიებლის მართვის ორგანოების წევრების საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, აგრეთვე ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ ისინი აკმაყოფილებენ სამსახურის მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს საპენსიო კომპანიის ჯანსაღი და კეთილგონივრული მართვის საჭიროების გათვალისწინებით;
- ✓ ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელი ორგანოს წევრების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მათ საკმარისად კარგ რეპუტაციასა და საკმარის გამოცდილებას;
- ✓ იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების სია, რომლებსაც აქვთ მჭიდრო კავშირი, რომლებიც აკონტროლებენ ან კონტროლდებიან ლიცენზიის მაძიებლის დამფუძნებლის (დამფუძნებლების), ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან/და ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელი ორგანოს წევრების მიერ;
- ✓ ლიცენზიის მაძიებელსა და აქტივების მმართველ კომპანიას ან მზღვეველს შორის დასადები ხელშეკრულების ნიმუში/პროექტი, აგრეთვე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აქტივების მმართველი კომპანიის უფლებას, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა;
- ✓ ლიცენზიის მაძიებლის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი იურიდიული პირის – აქციონერის/პარტნიორის ბოლო ფინანსური წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ან ნახევარი წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ ბოლო აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან ლიცენზიის შესახებ განაცხადის წარდგენის თარიღამდე 6 თვეზე მეტია გასული. თუ ამ იურიდიული პირის დაფუძნებიდან გასული არ არის 6 თვე, იგი სამსახურს მხოლოდ არააუდიტირებულ მიმდინარე ბალანსს წარუდგენს;
- ✓ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ ლიცენზიის მაძიებელ კომპანიას აქვს საკმარისი ოდენობის საკუთარი კაპიტალი მომდევნო 2 წლის განმავლობაში საოპერაციო, ადმინისტრაციული და საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო სხვა ხარჯების დასაფინანსებლად. საკუთარი კაპიტალის ოდენობის განსაზღვრის მინიმალურ მოთხოვნებსა და წესს ადგენს სამსახური;
- ✓ საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების (დაწესებულებების) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი დამფუძნებლების მიერ მინიმალური კაპიტალის ფულადი ფორმით სრულად შევსებისა და ამ ფულადი თანხის საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების შესახებ, რომლის მინიმალურ ოდენობას ნორმატიული აქტის საფუძველზე ადგენს სამსახური;
- ✓ საქმიანობის დაწყებიდან მომდევნო 2 წლის საოპერაციო გეგმა, სამსახურის მიერ დადგენილი ძირითადი მონაცემებისა და ფორმის შესაბამისად.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 500 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები:

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86

- ✓ საქართველოს კანონი „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/5841969?publication=0